

# წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №35  
2016 წლის 23 დეკემბერი

ქ. წყალტუბო

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესახებ“  
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №74

## დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 69-ე და მე-80 მუხლებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №74 დადგენილებაში (სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.122.016339, თარიღი 29/12/2015) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 1.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის ბიუჯეტის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	16 357,2	7 048,5	9 308,7	13 291,8	4 462,5	8 829,3	14 106,1	4 291,5	9 814,6
გადასახადები	1 192,0	0,0	1 192,0	1 100,0	0,0	1 100,0	2 532,8	0,0	2 532,8
გრანტები	13 398,7	7 048,5	6 350,2	10 850,3	4 462,5	6 387,8	10 087,5	4 291,5	5 796,0
სხვა შემოსავლები	1 766,5	0,0	1 766,5	1 341,5	0,0	1 341,5	1 485,8	0,0	1 485,8
ხარჯები	10 476,9	2 020,1	8 456,8	12 232,7	2 575,3	9 657,4	11 141,9	1 380,1	9 761,8
შრომის ანაზღაურება	2 009,8	0,0	2 009,8	2 167,6	72,7	2 094,9	2 286,9	80,2	2 206,7
საქონელი და მომსახურება	771,6	0,0	771,6	1 452,6	20,3	1 432,2	1 220,7	17,2	1 203,5



პირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სუბსიდიები	3 954,2	0,0	3 954,2	4 464,9	60,0	4 404,9	4 373,3	67,5	4 305,8
გრანტები	0,0	0,0	0,0	215,0	0,0	215,0	270,3	0,0	270,3
სოციალური უზრუნველყოფა	1 240,8	0,0	1 240,8	1 058,6	5,0	1 053,6	1 210,8	2,5	1 208,3
სხვა ხარჯები	2 500,5	2 020,1	480,4	2 874,0	2 417,2	456,9	1 779,9	1 212,8	567,1
საოპერაციო სალდო	5 880,3	5 028,4	851,9	1 059,2	1 887,3	-828,1	2 964,2	2 911,4	52,8
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2 936,4	2 305,0	631,4	4 358,1	4 134,8	223,3	4 024,6	3 572,1	452,6
ზრდა	3 133,4	2 305,0	828,4	4 458,1	4 134,8	323,3	4 908,3	3 572,1	1 336,3
კლება	197,0	0,0	197,0	100,0	0,0	100,0	883,7	0,0	883,7
მთლიანი სალდო	2 943,9	2 723,4	220,5	-3 299,0	-2 247,5	-1 051,4	-1 060,4	-660,7	-399,8
ფინანსური აქტივების ცვლილება	2 943,9	2 723,4	220,5	-3 299,0	-2 247,5	-1 051,4	-1 064,8	-660,7	-404,1
ზრდა	2 943,9	2 723,4	220,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	2 943,9	2 723,4	220,5	0,0			0,0	0,0	
კლება	0,0	0,0	0,0	3 299,0	2 247,5	1 051,4	1 064,8	660,7	404,1
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	3 298,9	2 247,5	1 051,4	1 064,8	660,7	404,1
ვალდებულებების ცვლილება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	-4,3	0,0	-4,3
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	4,3	0,0	4,3
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	4,3	0,0	4,3
ბალანსი	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000



2. დადგენილების მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 2.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	16 554,2	7 048,5	9 505,7	16 690,8	6 710,1	9 980,7	16 054,6	4 952,2	11 102,4
შემოსავლები	16 357,2	7 048,5	9 308,7	13 291,8	4 462,5	8 829,3	14 106,1	4 291,5	9 814,6
არაფინანსური აქტივების კლება	197,0	0,0	197,0	100,0	0,0	100,0	883,7	0,0	883,7
ფინანსური აქტივების კლება	0,0	0,0	0,0	3 298,9	2 247,5	1 051,4	1 064,8	660,7	404,1
გადასახდელები	13610,3	4325,1	9285,2	16690,8	6710,1	9980,7	16054,6	4952,2	11102,4
ხარჯები	10476,9	2020,1	8456,8	12232,7	2575,3	9657,4	11141,9	1380,1	9761,8
არაფინანსური აქტივების ზრდა	3133,4	2305,0	828,4	4458,1	4134,8	323,3	4908,3	3572,1	1336,3
ვალდებულებების კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	4,3	0,0	4,3
ნაშთის ცვლილება	2 943,9	2 723,4	220,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

3. დადგენილების მესამე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 3.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 14 106.1 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის ბიუჯეტის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის			სახელმწიფო ბიუჯეტის			სახელმწიფო ბიუჯეტის	



		ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	16 357,2	7 048,5	9 308,7	13 291,8	4 462,5	8 829,3	14 106,1	4 291,5	9 814,6
გადასახადები	1 192,0	0,0	1 192,0	1 100,0	0,0	1 100,0	2 532,8	0,0	2 532,8
გრანტები	13 398,7	7 048,5	6 350,2	10 850,3	4 462,5	6 387,8	10 087,5	4 291,5	5 796,0
სხვა შემოსავლები	1 766,5	0,0	1 766,5	1 341,5	0,0	1 341,5	1 485,8	0,0	1 485,8

#### 4. დადგენილების მექვე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 6.

#### მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები **1485.8** ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	კოდი	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის ბიუჯეტის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	14	1 766,5	0,0	1 766,5	1 341,5	0,0	1 341,5	1 485,8	0,0	1 485,8
შემოსავლები საკუთრებიდან	141	469,4	0,0	469,4	181,5	0,0	181,5	155,0	0,0	155,0
პროცენტები	1411	392,6		392,6	126,5		126,5	50,0		50,0
დივიდენდები	1412	0,0			0,0			0,0		
რენტა	1415	76,8	0,0	76,8	55,0	0,0	55,0	105,0	0,0	105,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	76,6		76,6	55,0		55,0	104,0		104,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	0,2		0,2	0,0			1,0		1,0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	14159	0,0			0,0			0,0		
საქონლისა და მომსახურების	142	707,2	0,0	707,2	660,0	0,0	660,0	761,2	0,0	761,2



რეალიზაცია										
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	689,1	0,0	689,1	660,0	0,0	660,0	746,2	0,0	746,2
საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი	14222	0,0			0,0			0,0		
სანებართვო მოსაკრებელი	14223	12,8		12,8	30,0		30,0	40,0		40,0
სახელმწიფო ბაჟი	14227	0,0			0,0			0,0		
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	14229	0,0			0,0			0,0		
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	142212	1,8		1,8	0,0			0,0		
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	142213	555,0		555,0	500,0		500,0	576,2		576,2
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	119,5		119,5	130,0		130,0	130,0		130,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	18,1	0,0	18,1	0,0	0,0	0,0	15,0	0,0	15,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	18,1		18,1	0,0			15,0		15,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	582,8		582,8	500,0		500,0	499,7		499,7
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	7,1		7,1	0,0			69,9		69,9

5. დადგენილების მეშვიდე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 7.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 11 141.9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის ბიუჯეტის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები



	გამოყოფილი ტრანსფერები	გამოყოფილი ტრანსფერები	გამოყოფილი ტრანსფერები	გამოყოფილი ტრანსფერები	გამოყოფილი ტრანსფერები	გამოყოფილი ტრანსფერები	გამოყოფილი ტრანსფერები	გამოყოფილი ტრანსფერები	გამოყოფილი ტრანსფერები
ხარჯები	10 476,9	2 020,1	8 456,8	12 232,7	2 575,3	9 657,4	11 141,9	1 380,1	9 761,8
შრომის ანაზღაურება	2 009,8	0,0	2 009,8	2 167,6	72,7	2 094,9	2 286,9	80,2	2 206,7
საკონელი და მომსახურება	771,6	0,0	771,6	1 452,6	20,3	1 432,2	1 220,7	17,2	1 203,5
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სუბსიდიები	3 954,2	0,0	3 954,2	4 464,9	60,0	4 404,9	4 373,3	67,5	4 305,8
გრანტები	0,0	0,0	0,0	215,0	0,0	215,0	270,3	0,0	270,3
სოციალური უზრუნველყოფა	1 240,8	0,0	1 240,8	1 058,6	5,0	1 053,6	1 210,8	2,5	1 208,3
სხვა ხარჯები	2 500,5	2 020,1	480,4	2 874,0	2 417,2	456,9	1 779,9	1 212,8	567,1

6. დადგენილების მერვე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 8.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 4024.6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 4 908.3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ორგ. კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის ბიუჯეტის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	23,2	72,5	286,7
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,9	1,0	0,0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2 951,0	4 222,0	4 476,3
04 00	განათლება	158,4	45,6	11,7
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	0,0	52,1	122,6
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0,0	65,0	11,0



	სულ	3 133,4	4 458,1	4 908,3

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 883.7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის ბიუჯეტის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	197,0	100,0	883,7
ძირითადი აქტივები	92,2	0,0	720,7
არაწარმოებული აქტივები	104,8	100,0	163,0
მიწა	104,8	100,0	163,0

“

**7. დადგენილების მეცხრე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:**

„მუხლი 9.

**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის ბიუჯეტის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 364,6	0,0	2 364,6	2 862,4	0,0	2 862,4	3 296,1	0,0	3 296,1
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 364,6	0,0	2 364,6	2 862,4	0,0	2 862,4	3 296,1	0,0	3 296,1



70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 264,4	0,0	2 264,4	2 851,1	0,0	2 851,1	3 259,1	0,0	3 259,1
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	100,2	0,0	100,2	11,4	0,0	11,4	37,0	0,0	37,0
702	თავდაცვა	85,7	0,0	85,7	105,2	91,0	14,2	105,5	97,0	8,5
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	257,5	0,0	257,5	224,7	0,0	224,7	0,0	0,0	0,0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	257,5	0,0	257,5	224,7	0,0	224,7	0,0	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	3 720,5	3 246,0	474,5	5 608,0	5 106,4	501,5	3 213,9	2 362,0	851,9
7045	ტრანსპორტი	2 664,0	2 246,1	417,9	4 561,3	4 111,8	449,5	3 097,2	2 362,0	735,2
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2 664,0	2 246,1	417,9	4 561,3	4 111,8	449,5	3 097,2	2 362,0	735,2
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1 056,5	999,9	56,6	1 046,7	994,7	52,1	116,7	0,0	116,7
705	გარემოს დაცვა	556,4	0,0	556,4	546,0	0,0	546,0	601,3	0,0	601,3
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	556,4	0,0	556,4	546,0	0,0	546,0	585,8	0,0	585,8
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	7,2	0,0	7,2
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	8,4	0,0	8,4
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2 091,6	1 079,1	1 012,5	2 356,5	1 169,7	1 186,8	3 975,9	2 420,1	1 555,8
7061	ბინათმშენებლობა	149,0	0,0	149,0	194,7	18,5	176,2	1 342,1	925,4	416,7
7063	წყალმომარაგება	0,0	0,0	0,0	161,0	0,0	161,0	350,2	291,6	58,6
7064	გარე განათება	499,2	0,0	499,2	327,0	0,0	327,0	316,6	0,0	316,6





7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1 443,4	1 079,1	364,3	1 673,8	1 151,2	522,6	1 967,0	1 203,1	763,9
707	ჯანმრთელობის დაცვა	64,5	0,0	64,5	127,2	60,0	67,2	76,3	70,0	6,3
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	64,5	0,0	64,5	127,2	60,0	67,2	76,3	70,0	6,3
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 705,7	0,0	1 705,7	2 181,0	277,9	1 903,2	1 937,5	0,0	1 937,5
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	654,6	0,0	654,6	796,3	9,0	787,3	749,6	0,0	749,6
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	899,6	0,0	899,6	1 208,3	268,9	939,4	1 004,0	0,0	1 004,0
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	100,0	0,0	100,0	100,0	0,0	100,0	100,0	0,0	100,0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	51,5	0,0	51,5	76,4	0,0	76,4	83,9	0,0	83,9
709	განათლება	1 342,7	0,0	1 342,7	1 407,7	0,0	1 407,7	1 365,0	0,0	1 365,0
7091	სკოლამდელი აღზრდა	1 184,1	0,0	1 184,1	1 309,0	0,0	1 309,0	1 365,0	0,0	1 365,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	158,6	0,0	158,6	98,6	0,0	98,6	0,0	0,0	0,0
710	სოციალური დაცვა	1 334,0	0,0	1 334,0	1 272,1	5,0	1 267,1	1 478,7	3,0	1 475,7
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	66,1	0,0	66,1	73,6	0,0	73,6	83,0	0,0	83,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	1 196,9	0,0	1 196,9	1 033,5	5,0	1 028,5	1 221,7	3,0	1 218,7
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	71,0	0,0	71,0	165,0	0,0	165,0	174,0	0,0	174,0
		13			16			16		



სულ	523,1	4 325,1	9 198,0	690,8	6 710,1	9 980,7	050,2	4 952,2	11 098,1
-----	-------	---------	---------	-------	---------	---------	-------	---------	----------

**8. დადგენილების მეთორმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:**

„მუხლი 12.

**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 37,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

**9. დადგენილების მეთხუთმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:**

„მუხლი 15.

**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

**1. თავდაცვა და საგანგებო სიტუაციების მართვა – 105.5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 02 00)**

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა ტრანსპორტირების ღონისძიებები.

**1.1. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა – 105.5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 02 0 2)**

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა და რეზერვისტთა აღრიცხვა, შეკრება და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

**2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 7741.5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 00)**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის სრული გამოყენება, ურბანული განვითარება და ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელ უბნებში ეზოების კეთილმოწყობა და საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაცია. ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

**2.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა – 3 077.2 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული გზების რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა ქალაქ წყალტუბოში 9 აპრილის ქუჩა №3 ბინასთან მისასვლელი გზა, ნუცუბიძის ქუჩის შესახვევის გზა, ლორთქიფანიძის ქუჩის №10 და №16 ჩიხის გზა, შარტავას ქუჩის №1 შესახვევის გზა, დედაენის ქუჩის №15 და №17 ბინების წინ გზა, ნინოშვილის ქუჩის №1 და №2 ჩიხების გზა, შარტავას ქუჩის №1 ჩიხის გზა, გურამიშვილის №1, №4 და №6 ბინასთან საავტომობილო გზა, თბილისის ქუჩის №1 ჩიხის გზა. ასევე განხორციელდება ქალაქ წყალტუბოსა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში საავტომობილო გზების სტიქიისა და თოვლის საფარისაგან გაწმენდა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჭავჭავაძის ქუჩის მიმდებარე საყრდენი კედლების, ტროტუარების და მწვანესაფარიანი გაზონების კეთილმოწყობის თანადაფინანსება.

პროგრამის ფარგლებში მოხდება სოფელ ხომულის, ჯიმასტაროს, პირველი წყალტუბოს, ქვიტირისა და



ქალაქ წყალტუბოს რუსთავის, ტყაბლაძის, ევდოშვილის, 9 აპრილის მე-3 შესახვევის, ხანძთელის, ბაგრატის ქუჩების გზის რეაბილიტაციის თანადაფინანსება.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ მუხიანი – ბროწეულას რკინიგზის გადასარბენზე პირუტყვის გადასარეკი გვირაბის მოწყობის თანადაფინანსება. ასევე დაფინანსდება ს.ს. „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების განსაზღვრულ ნაწილზე მუხიანი – ბროწეულას რკინიგზის გადასარბენზე პირუტყვის გადასარბენი გვირაბის მშენებლობის პროექტის შეთანხმებისა და სამშენებლო სამუშაოების სანებართვო ხარჯები.

პროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქ წყალტუბოში ვაჟა ფშაველას ქუჩაზე №2 საბავშვო ბაღის, 9 აპრილის ქუჩის პირველი შესახვევი №2-ში მდებარე №4 საბავშვო ბაღის, 9 აპრილის ქუჩის პირველი შესახვევი №4-ში და მე-2 საჯარო სკოლის მიმდებარედ ქარხნული წესით დამზადებული სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა. ასევე განხორციელდება მუნიციპალური მნიშვნელობის მქონე გზებზე, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, არარეგულირებად გზაჯვარედინებზე, საბავშვო ბაღებისა და სკოლების მიმდებარედ სხვადასხვა ინფორმაციის შემცველი საგზაო ნიშნების მოწყობა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციისათვის მზა ბეტონის შექმნა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შანიძის ქუჩაზე გზის საფარის აღდგენითი სამუშაოები და სოფელ ოფურჩხეთის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის ბეტონის საფარით მოწყობა – კაპიტალური შეკეთება.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება 4-9 ივლისის მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრა, კერძოდ: სოფელ ხომულისა და ქვილიშორის დამაკავშირებელი ახალი ხიდის აშენება და დაზიანებული შიდა გზების რეაბილიტაცია ჟონეთში, ნამოხვანში, ზარათსა და ქვილიშორში.

## **2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა – 2603.0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის, გარე განათების ქსელის გაფართოება და ექსპლოატაცია. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება.

### **2.2.1 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ღონისძიებები – 585.8 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 02)**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ამ პროგრამით გათვალისწინებულია ქალაქის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების გატანა. დაფინანსდება აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები.

### **2.2.2. შენობების რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა – 1342.1 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის, კერძოდ: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების საერთო სარგებლობის, ეზოების მოწყობა ბეტონის და ასფალტობეტონის საფარით, სანიაღვრე არხების მოწყობა, ლიფტების რეაბილიტაცია, სადარბაზოების შესასვლელი რკინის კარების მონტაჟი, სენსორული განათების მოწყობა, სახურავის რეაბილიტაცია, წყალ-საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია და სხვა.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სარეაბილიტაციო ცენტრი „ჩვენი სახლის“ ფართისა და ქალაქ წყალტუბოში №1 საბავშვო ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა.



ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სოფელ ხომულში, ფარცხანაყანევში, ქვიტირში, რიონში საბავშვო ბაღის მშენებლობა – მოწყობისა და სოფელ ჩუნეშში ნ. ლორთქიფანიძის სახლმუზეუმის რეაბილიტაციის თანადაფინანსება.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ წყალტუბოში 9 აპრილის ქუჩა №2-ში მდებარე ფართზე (საკ. კოდი 29.08.37.055) გამანაწილებელ ქსელზე მისაერთებელი სიმძლავრის გაზრდის საფასურის გადახდა.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სოფელ რიონში საბავშვო ბაღსა და ადმინისტრაციულ შენობაში წყალმომარაგების სამუშაოების დაფინანსება.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპეც. ტექნიკის რეცხვისა და დეზინფექციისათვის სამრეცხაოს და ანტისეპტიკური ჭის მოწყობა.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სოფელ საყულიაში სასოფლო კლუბის გარე ფასადის რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მიმდინარე წლის 21-23 ნოემბერის ძლიერი ქარის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები, კერძოდ: საყულიის, ახალი საყულიის ოფშკვითის და მესხეთის საბავშვო ბაღების, კოპიტნარის დევნილთა დასახლების ხუთი კორპუსის და ქალაქ წყალტუბოში კოლხეთის ქუჩის №6, თამარ მეფის ქუჩის №5, თამარ მეფის ქუჩის №7, დედა ენის ქუჩის №5, ჭავჭავაძის ქუჩის II შესახვევი №4 და სოფელ მაღლაკში (იმერეთის საყრდენი პუნქტი) ქუჩა №44, №1 საერთო ბინების სახურავების აღდგენა.

### **2.2.3. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 350.2 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 04)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ წყალტუბოში სარაჯიშვილი და ლერმონტოვის ქუჩების გადაკვეთასთან 22 ოჯახისათვის საკანალიზაციო ქსელის მოწყობა.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სოფელ ქვილიშორის სასმელი წყლის სისტემის მოწყობის თანადაფინანსება.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ გეგუთში ვარციხჰესის დასახლებაში მოსახლეობისათვის ელექტრო სადენის შექმნა წყლის ტუმბოს ჩართვისათვის.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ცენტრალურ პარკში არსებული ფანტანებისა და სხვადასხვა სისტემების მიერ მოხმარებული წყლის ღირებულება.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ ქვილიშორში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სოფელ ბანოჯაში სასმელი წყლის რეზერვუარების რეცხვა-დეზინფექციისა და სოფელ მაღლაკის (მიწაწითელი) სასმელის წყლის მიღების ვარგისიანობის დადგენის სამუშაოები.

### **2.2.4. გარე განათება – 316.6 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 05)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მოხმარებული ელ. ენერჯის ღირებულება.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ელ. გამანაწილებელ ქსელზე დაერთებები და ახალი აღრიცხვის კვანძის მოწყობა.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ ქვიტირში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილთათვის გარე განათების სისტემის მოწყობა.

### **2.2.5. მაწანწალა ძაღლების იზოლირება – 8.4 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 06)**

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მოსახლეობის დაცვა მაწანწალა ცხოველებისაგან.



### **2.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები- 725.6 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 03)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრის“ სუბსიდირება და არაფინანსური აქტივების შეძენა.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქ წყალტუბოში დედაენის ქუჩაზე №1 საჯარო სკოლის წინ და სოფელ გუმბრინის ცენტრში მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცივი ტბის მიმდებარედ ბუნებრივი აირის შიდა ქსელის მოწყობა და დაერთება.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სოფელ ტყაჩირში მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა.

### **2.4. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა – 1240.7 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 04)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები.

### **2.5. საპროექტო დოკუმენტაცია და საექსპერტო მომსახურება – 95.0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 05)**

პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

### **3. განათლება – 1 365.0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 04 00)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

#### **3.1. საბავშვო ბაღების გაერთიანების დაფინანსება – 1 365.0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 04 01)**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ხარჯები, რომელიც შექმნის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ბაზას და აღსაზრდელებისათვის სრულფასოვან გარემოს. ასევე ხელს შეუწყობს მათ მომზადებას ზოგადი განათლების მისაღებად.

### **4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები – 1 987.2 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 00)**

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას.

#### **4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა – 753.2 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ა(ა)იპ „წყალტუბოს სპორტული კლუბების გაერთიანების“ და ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბი სამგურალის“ ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება, გაიმართება და დაფინანსდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, აგრეთვე მოხდება სპორტული მოედნებისა და ბაზების მოწყობა-რეაბილიტაცია, ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაციის დამატებითი სამუშაოები.



პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ასევე სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების დაფინანსება, კერძოდ: გივი თალაკვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი მძლეოსნობაში, ფრენბურთის ტურნირი გოგონებს შორის, მაგიდის ჩოგბურთის ტურნირი, ჯემალ ბერაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამოყვარულო ტურნირი ჭადრაკში, კალათბურთის ტურნირი სკოლებს შორის, ხელბურთის ტურნირი გოგონებს შორის, შალვა ბზიკაძის ხსოვნის ტურნირი ძიუდოში, ხელბურთის ტურნირი სკოლებს შორის (ბიჭები), მკლავჭიდის ტურნირი, გარბენი ქალაქის რკალზე, ნოდარ კობრეიძის ხსოვნის ტურნირი მინი ფეხბურთში, მხიარული სტარტები ბაღებს შორის, ომარ ფხაკაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ველორბოლაში, სამოყვარულო ტურნირი ნარდში, დავით აფხაძის ხსოვნის ტურნირი ბ/რომაულ ჭიდაობაში, ზურაბ ბადირეიშვილი ხსოვნის ტურნირი კალათბურთში, მერაბ მოსიავას ხსოვნის ტურნირი მინი ფეხბურთში, ზაურ ტეხოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინი ფეხბურთში, როინ მეტრეველის ხსოვნის ტურნირი ხელბურთში, „მოყვარულთა თასი 2016“.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერა.

#### **4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა – 1035.1 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02)**

კულტურული ტრადიციების დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ორგანიზაციების ა(ა)იპ „წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის“ და ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის“ დაფინანსება, სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა და ორგანიზება.

#### **4.3. ახალგაზრდული და კულტურული პროგრამების დაფინანსება – 98.9 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 03)**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსება, კერძოდ: შშმ პირისთვის საჩუქარი, სიყვარულის დღე, ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის?, ბავშვთა საერთაშორისო დღე, ექსკურსიები, ლაშქრობა, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული, პოეზიის საღამო, სხვადასხვა ფესტივალებზე მონაწილეობა, საშობაო ღონისძიებები, ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, 9 აპრილი, აღდგომის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ოტია იოსელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, 8 აგვისტო, სოხუმის დაცემის დღე, შემოდგომის წყალტუბო, საახალწლო საჩუქრები, საახალწლო ღონისძიება, კლასიკური მუსიკის საღამო, საქართველოს მოხალისე, მედიაპროექტ „ეტალონის“ ორგანიზება, საშობაო – საახალწლო ნაძვის ხის ნათურები.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სოფელ საჩხეურაში მცხოვრებ გოჩა ძნელაძის ლექსების ახალი კრებულის „მზეს და გაზაფხულს ვენაცვალები“ გამოცემა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. წყალტუბოში ჭავჭავაძის ქუჩაზე საბავშვო ატრაქციონების მოწყობა.

#### **4.4. რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა – 100.0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 04)**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქუთაისის-გაენათის ეპარქიის სუბსიდირება.

#### **5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 1 556.4 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 00)**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის



